N 09/281
06/02/2023

281-09-2-202302061517

https://edocument.ge/AdjaraGov/public

სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ
ხელშეკრულება

ქ.ბათუმი

ერთი მხრივ, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ შემსყიდველი), სააგენტოს უფროსის მ/შ ჯუმბერ აბულაძეს და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი ზურაბ კალანდარიშვილის სახით (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების ‘’გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” მე-3 მუხლის შესაბამისად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,შესყიდვის ობიექტი“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებულ საქონელს.

1.4. „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „დღე,“ „კვირა,“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.7. „დასრულება“ ნიშნავს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულებაში მოცემული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

1.8. „ხარვეზი/დეფექტი“ ნიშნავს საქონლის ნებისმიერი იმ ნაწილის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას, რომლის განხორციელებაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს (2023 წლისათვის ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს სატყეო ადმინისტრაციების შესაბამის სატყეოებში ჭრაში დანიშნული ხეების მოსანიშნად შავი ფერის მდგრადი (ზეთოვანი) საღებავის შეძენა) საქონლის მოწოდება დანართი 1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (მოხს. ბარათი N 6-09; 10.01.2023), ხოლო ,,შემსყიდველი” კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული შესყიდვის ობიექტი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებაში ასახულ ვადებში და ფორმით.

2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, სახეობები (ჩამონათვალი), მოცულობა და ღირებულება გათვალისწინებულია მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ფასების (ხარჯთაღრიცხვა) ცხრილში (იხ. დანართი №1), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

CPV დანაყოფი 44100000 – 2190 ლარი.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 2190 (ორიათას ას ოთხმოცდაათი) ლარს. (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში – სახელშეკრულებო ღირებულება).

3.2. სახელშეკრულებო ღირებულება შეიცავს ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი;

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის და

სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში და მიმწოდებლის მხრიდან პირგასამტეხლოს ჩარიცხვის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. უხარისხო საქონლის დაფიქსირების შემთხვევაში მოთხოვნილი ოდენობის თანხა არ ანაზღაურდება, გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრამდე.

3.4. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უხარისხო საქონლის მიწოდების დაფიქსირების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში, საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.5. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაში და სასაქონლო ზედნადებში მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

3.6. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში), უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

3.7. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად (პერიოდულად), შუალედური ანგარიშსწორებით. ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდების ეტაპის (პერიოდის) დასრულების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.8. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.9. ანგარიშსწორება განხორციელდება საბიუჯეტო სახსრებიდან.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარება

4.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სათანადოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

4.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებისა და საქართველოში მოქმედ წესებსა და ნორმებს;

4.3. მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებულ საქონლზე.

4.4. მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 2023 წლის 31 მარტამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნის შეტყობინებას (სატელეფონო, წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით) ახორციელებენ მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

4.5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველი, მიმწოდებლისგან შეტყობინების (სატელეფონო, წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით) მიღებიდან, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, განახორციელებს დოკუმენტ(ებ)ისა და შესყიდვის ობიექტის შემოწმებას. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი შეესაბამება ხელშეკრულების 4.2. პუნქტის მოთხოვნებს, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს შესყიდვის ობიექტი და გაუგზავნოს ან გადასცეს მიმწოდებელს ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ერთი ეგზემპლარი ან წერილობითი მოტივირებული უარი შესყიდვის ობიექტის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, დაწუნებული შესყიდვის ობიექტის მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.6. მიწოდების ეტაპზე გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მახასიათებლებისა და პარამეტრების შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმწოდებელმა (საკუთარი ხარჯებით) უნდა უზრუნველყოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის ან დამოუკიდებელი სერტიფიცირებული აუდიტორის მიერ). იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნის გამცემი არ იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპერტიზის განმახორციელებელი პირ(ებ)ის შესაბამისი აკრედიტაციის/სერთიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტის/სერთიფიკატის ასლი. საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები არ იქნება დაკავშირებული შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადებთან, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარდგენა უნდა მოხდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ არაუგვიანეს შესყიდვის ობიექტის მოწოდების დასრულებიდან 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.7. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე მოტივირებული უარის შემთხვევაში, მხარეები, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ადგენენ აქტს, გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ (დეფექტური აქტი).

4.8. შემსყიდველის მიერ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში. აღნიშნულის შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევას და შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

4.9. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის ყველა წარმოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ შესყიდვის ობიექტის მიღება ხორციელდება ხელშეკრულების წინამდებარე მუხლით დადგენილი წესით.

4.10. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები შემსყიდველის მხრიდან: სააგენტოს ტყის მართვის სამსახურის უფროსის ავთანდილ მახარაძე, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხის, მოცულობისა და ღირებულების მიხედვით.

4.11. მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადამდე ადრე ჩააბაროს შემსყიდველს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

4.12. საქონლის მიწოდების დაგვიანება გამოიწვევს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას, წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების მიზნით, შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი, წარმოდგენილი სააგენტოს ტყის მართვის სამსახურის უფროსის ავთანდილ მახარაძის სახით, რომელიც პერიოდულად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე საჭიროების შემთხვევაში ჩაატარებს ინსპექტირებას, რომელიც გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის/ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4. შემსყიდევლს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს 4.10 და 5.1 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მიანიჭოს ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის მოწოდების დასრულების შემდეგ არ გამოავლენს დეფექტებს.

6.2. რაიმე ნაკლის/დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

6.3. საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა.

6.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების/ზიანის ანაზღაურება, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.1.3. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გაატაროს პასუხისმგებლობის ზომები ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად.

7.1.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

7. 2.2. შეუქმნას მიმწოდებელს სამუშაო პირობები.

7.2.3. წინასწარ გააფრთხილოს მიმწოდებელი ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს შესყიდვის ობიექტის მოწოდებაზე.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით;

7.4.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

7.4.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.4.4. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

7.4.5. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს, შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

7.4.6. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, მეორე მხარის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. მიღება-ჩაბარებაზე შეტყობინების ფორმა შეიძლება იყოს სატელეფონო, წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით.

11.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეთ წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო, ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე, დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.1.1. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

13.1.2. თუ მიმწოდებელს შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

13.1.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.4. მიმწოდებლის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში;

13.1.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.1.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭრბებს ხელშეკრულების ღირებულების 20%-ს.

13.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.4. ამ მუხლის 13.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

13,5 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა მე-14 მუხლის 14.3 და 14.4. პუნქტ(ებ)ის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, მაშინ მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

14.4. ხარვეზით მოწოდებული საქონლის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლოვანების აღმოჩენიდან, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში, მიიღოს საჭირო ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება და მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის ან შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი თანხის 10 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის ან შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი თანხის 20%-ის ოდენობით.

14.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი განახორციელებს საქონლის მოწოდებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამოდ, რის გამოც შემსყიდველს მიადგება ზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნული ზიანი 100%-ის ოდენობით.

14.6. საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული საჯარიმო სანქციების თანხა ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).

14.7. შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.

14.8. წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული მუხლებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.9. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ფორს-მაჟორი

16.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა და რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან ან/და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ტვირთის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, კანონმდებლობაში ცვლილებებით და სხვა.

16.3. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი

მოვლენების დადგომის თაობაზე; ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

16.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

16.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

16.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

16.7. თუ ფორს-მაჟორული გარემოების დროს სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.

19. დასკვნითი დებულებანი

19.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

19.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

19.3. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის (ან მისი ნაწილის) გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.

19.4. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება საჭიროებს წერილობით ფორმას. მხარეთა შორის ზეპირი შეტყობინებები ან/და შეთანხმებები სადაოობის, ურწმონოების ან უზუსტობების შემთხვევაში იურიდიული ძალის არ მქონეა.

19.5. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა / შტამპი და ინახება მხარეებთან.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2023 წლის 01 მაისის ჩათვლით.

21. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, სააგენტოს უფროსი თემურ ყურშუბაძე და ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი თემურ ბოლქვაძე ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (ფიზიკური პირი ზურაბ კალანდარიშვილი) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

21.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
მის: ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ.51
ს/კ 245631428
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგარიშის N 740397019
მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ელ. ფოსტა satyeosaagento1@gmail.com
ტელ: 571101836

მიმწოდებელი

ზურაბ კალანდარიშვილი
მის: ქ.ბათუმი,ე. თაყაიშვილის ქ.N19
პ/ნ: 61001015780
მიმღები: ს.ს.“საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ: GE41BG0000000354042700
ელ. ფოსტა kalandarishvili.z@yahoo.com
ტელ: 577467971

დანართი №1

ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის ფასების შესახებ
(ხარჯთაღრიცხვა)

cpv კოდი	მოსაწოდებული შესყიდვის ობიექტი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
44111400	ზეთოვანი საღებავი (შავი ფერის)	კგ	60	36.5	2190
	ჯამი				**2190**

მიმწოდებელი
ფიზიკური პირი
ზურაბ კალანდარიშვილი

ხელმოწერაზე უფლებამოსილ
პირი

Zurab Kalandarishvili 61001015780
Digitally signed by Zurab Kalandarishvili
Date: 2023.02.06 17:31:58

შემსყიდველი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
ს/კ 245631428

ხელმოწერაზე უფლებამოსილი
პირი:

ჯუმბერ აბულაძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
ხელმძღვანელობა

თემურ ბოლქვაძე

განყოფილების უფროსი
სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება